

## კერძო სამართლის იურიდიული პირების წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებები და სხვა რეკომენდაციები

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას საკრებულოს თანხმობით იღებს გამგებელი/მერი.

აღნიშნული ნორმით დარეგულირებულია კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესი, სადაც ინიციატივის უფლება ექსკლუზიურად ეკუთვნის გამგებელს/მერს, ხოლო საკრებულოს მონაწილეობა გამგებლის/მერისთვის თანხმობის მიცემით შემოიფარგლება.

ძველი ორგანული კანონით კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საკრებულო. იურიდიული პირის დამფუძნებლად კი ზოგიერთი ადგილობრივი თვითმმართველობა წესდებაში უთითებდა საკრებულოს.

კოდექსის ამოქმედების შემდეგ კერძო სამართლის იურიდიული პირების წესდება შესაბამისობაშია მოსაყვანი კოდექსის მოთხოვნებთან. კერძოდ:

- გამგებელი/მერი ბრძანებით ამტკიცებს წესდების ახალ რედაქციას, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაშია მოყვანილი. წესდებაში კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორად (დამფუძნებლად) მითითებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტი და არა გამგებელი/მერი ანდა საკრებულო.
- ბრძანების გამოცემის შემდეგ გამგებელი/მერი საკრებულოსგან მიიღებს ფორმალურ თანხმობას, წესდებაში ცვლილების განსახორციელებლად (ახალი წესდების მიღება). მუნიციპალიტეტის საკრებულო კოდექსის ნორმების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ვალდებულია განკარგულების ფორმით გამგებელს/მერს მისცეს თანხმობა.
- გამგებლის/მერის ბრძანებაში უნდა მიეთითოს გამგეობის/მერიის შესაბამისი თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება საჯარო რეესტრთან ურთიერთობაზე.
- კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებისას მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ მონაცემები. ხელმძღვანელი პირის შერჩევა (გათავისუფლება) წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაზე უფლებამოსილი პირის - გამგებლის/მერის დისკრეციას.